



საქართველოს  
სახალხო დამცველი  
PUBLIC DEFENDER  
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-6/3220  
30/03/2023

3220-15-6-2-202303301319



საქართველოს იუსტიციის მინისტრს  
ბატონ რატი ბრეგაძეს

### რეკომენდაცია

მსჯავრდებულ [REDACTED] სამედიცინო სერვისის სასწრაფო-დაყოვნებადი წესით მიწოდებასთან დაკავშირებით

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო რატი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა №8 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის, [REDACTED] განცხადება და მხედველობის პრობლემებთან დაკავშირებით გაწეული სამედიცინო მომსახურების ამსახველი დოკუმენტაცია. შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ მსჯავრდებულს ესაჭიროება ექიმ-სპეციალისტის მიერ რეკომენდებული, რეფრაქციულ ქირურგთან კონსულტაციის დროულად ჩატარება.

### მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა

2023 წლის 20 იანვარს, სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ №8 პენიტენციურ დაწესებულებაში მონახულების დროს, მსჯავრდებულმა [REDACTED] განაცხადა, რომ 2022 წლის 18 ნოემბერს, ორივე თვალზე ჩაუტარდა ფოტოკოაგულაცია, რის შემდეგაც მიეცა რეკომენდაცია რეფრაქციური ქირურგის კონსულტაციაზე, რა მიზნითაც, გეგმიური მომსახურების გასაწევად დარეგისტრირდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის რეფერალის ელექტრონულ ბაზაში. მსჯავრდებულის გადმოცემით, ბოლო პერიოდში აღნიშნავს მხედველობის გაორებას და მის მნიშვნელოვან

---

საქართველო, თბილისი 0102, დავით აღმაშენებლის გამზირი N80,  
ცხელი ხაზი: 1481 (24/7); [www.ombudsman.ge](http://www.ombudsman.ge); ელ-ფოსტა: [info@ombudsman.ge](mailto:info@ombudsman.ge)  
80 David Agmashenebeli Avenue, Tbilisi 0102, Georgia,  
Hotline: 1481 (24/7); [www.ombudsman.ge](http://www.ombudsman.ge); E-mail: [info@ombudsman.ge](mailto:info@ombudsman.ge)

გაუარესებას, ასევე აწუხებს თვალებისა და თავის ტკივილი, რის გამოც ითხოვა რეკომენდებული მომსახურების დროულად მიწოდებაში დახმარება.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის წერილის თანახმად,<sup>1</sup> არაერთხელ არის კონსულტირებული ოფთალმოლოგის მიერ. პაციენტს დანიშნულების მიხედვით მიეწოდა შერჩეული სათვალე და მედიკამენტური მკურნალობა კურსობრივად. ბოლო კონსულტაციისას ოფთალმოლოგის მიერ რეკომენდებულ იქნა გამოკვლევა სპეციალიზირებულ კლინიკაში, რომელიც ჩაუტარდა კლინიკა „ვივამედში“, დაესვა დიაგნოზი: მაღალი ხარისხის მიოპია, ბადურის პერიფერიული დეგენერაცია. ჩაუტარდა ბადურის პერიფერიული პროფილაქტიკური ლაზერული ფოტოკოაგულაცია. პაციენტმა აღნიშნა სათვალეში თვალების დამაბვან და გაორება, რისთვისაც 21.11.2022წ. დარეგისტრირდა რეფერალის ელექტრონულ პროგრამაში რეფრაქციულ ქირურგთან კონსულტაციის ჩატარების მიზნით. დღევანდელი რიგის ნომერია 1186.“ ხოლო, ამავე დეპარტამენტის 2023 წლის 2 მარტის წერილის თანახმად,<sup>2</sup> რიგის ნომერია 1101. ხსენებული დინამიკის გათვალისწინებით, შესაძლოა მსჯავრდებულს დაგეგმილი რეკომენდებული მომსახურება ვერ გაეწიოს დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში.

მსჯავრდებულისათვის მხედველობის პრობლემებთან დაკავშირებით გაწეული სამედიცინო მომსახურების ამსახველი დოკუმენტაცია დეტალურად შეისწავლა სახალხო დამცველის აპარატის ექიმმა, მედიცინის დოქტორმა, [REDACTED]. მისი პოზიციით, მაღალი ხარისხის მიოპიის და ბადურის პერიფერიული დეგენერაციის, ფოტოფსიური მოვლენების ფონზე, ჩატარებული მკურნალობის შემდეგ პაციენტი კვლავ აღნიშნავს თვალების დამაბვან და მხედველობის გაორებას, რის გამოც შ.პ.ს. „ვივამედის“ ექიმის მიერ 2022 წლის 15 ნოემბერს გაცემულია რეკომენდაცია - რეფრაქციული ქირურგის მიერ კონსულტაციის ჩატარების აუცილებლობის შესახებ. მაღალი ხარისხის მიოპიას ახასიათებს სხვადასხვა გართულებების რისკი: გლაუკომა, ბადურის პერიფერიული დეგენერაცია, ბადურის ჩამოცლა, კატარაქტა, მაკულოპათია.<sup>3</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებული ექიმი მიიჩნევს, რომ მიზანშეწონილია კონსულტაცია ჩატარდეს შემჭიდროვებულ ვადებში - სასწრაფო-დაყოვნებადი წესით.

### სამართლებრივი დასაბუთება

პენიტენციურ სისტემაში ჯანდაცვის მომსახურების საერთაშორისო სტანდარტები ეფუძნება ადამიანის ღირსებისა და მის მიმართ ჰუმანური მოპყრობის პრინციპებს, რითაც

<sup>1</sup> სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2023 წლის 3 თებერვლის №28559/01 წერილი.

<sup>2</sup> სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის 2023 წლის №58601/01 წერილი.

<sup>3</sup> Community Eye Health. 2019; 32(105): 5-6. Published online 2019 May 13. PMID: PMC6688422 PMID: 31409941.

Katie Williams and Christopher Hammond. ხელმისაწვდომია:

<<https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC6688422/>> ბოლოს ნანახია: [29.03.2023].

ხაზს უსვამს პატიმრის უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოებაში არსებული ეკვივალენტური ჯანდაცვის სისტემით. მას ხელი უნდა მიუწვდებოდეს ყველა იმ მომსახურებაზე, რომელიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაშია დანერგილი.<sup>4</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ იმისთვის, რომ ადამიანის პატიმრობაში ყოფნა არ გაუტოლდეს ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მინიმალურ ზღვარს და არ იმყოფებოდეს წამების, არაადამიანური ან/და დამამცირებელი მოპყრობის პირობებში, სამედიცინო პერსონალის მხრიდან უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოველმხრივი თერაპიული სტრატეგიით, რომელიც მიმართულია და ადეკვატურად აგვარებს პატიმრის ჯანმრთელობის პრობლემებს ან აღკვეთს მათ გაუარესებას, იმის ნაცვლად, რომ მათზე სიმპტომურად რეაგირებდეს.<sup>5</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დამკვიდრებული პრაქტიკით, კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოებს ავალდებულებს თითოეული დაპატიმრებული ამყოფოს ისეთ პირობებში, რომელიც არ ლახავს მათ ადამიანურ ღირსებას. ამასთან, სასჯელის აღსრულების მეთოდები არ უნდა აყენებდეს დაპატიმრებულს ტკივილს ან ტანჯვას ისეთი ინტენსივობით, რომელიც აღემატება პატიმრობისთვის დამახასიათებელი ტანჯვის დონეს და პატიმრის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა სათანადოდ უნდა იყოს უზრუნველყოფილი. აღნიშნული ასევე გულისხმობს პატიმართათვის ადეკვატური სამედიცინო მომსახურების გაწევას. საქმეში „კინანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო ორგანოებს ეკისრებათ თავისუფლებადკვეთილ პირთა ჯანმრთელობის დაცვის ვალდებულება. სათანადო სამედიცინო მომსახურების გაუწევლობა კი გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება ჩაითვალოს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლო აღნიშნავს, რომ სამედიცინო მომსახურების „ადეკვატურობა“ რჩება რთულად დასადგენ ელემენტად. ამასთან, გარკვეული სამედიცინო მომსახურების გაწევა და მკურნალობის დანიშვნა ავტომატურად ვერ მიგვყვანს დასკვნამდე, რომ სამედიცინო დახმარება იყო ადეკვატური.<sup>6</sup> საკითხის შეფასების დროს სასამართლო ხელმძღვანელობს ტესტით გამოიჩინა თუ არა სახელმწიფომ სათანადო გულისხმიერება, ვინაიდან სახელმწიფოს მიერ მძიმე ავადმყოფი პატიმრის განკურნების ვალდებულების შესრულება განისაზღვრება მიღებული ზომით და არა მხოლოდ დამდგარი შედეგით.<sup>7</sup> ასევე, სასამართლო მიუთითებს, რომ სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისმა უწყებებმა უნდა გაატარონ აუცილებელი ღონისძიებები.<sup>8</sup>

სამედიცინო დახმარების ადეკვატურობის განსასაზღვრად სასამართლო გულისხმიერების ტესტს იყენებს. მხოლოდ ის ფაქტი, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში პირის

<sup>4</sup> მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წვერი სახელმწიფოებისადმი ევროპული ციხის წესებთან დაკავშირებით, პარა. 40.2.

<sup>5</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება *Bujak v. Poland*, 2017, 686/12, § 68

<sup>6</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება *Hummatov v. Azerbaijan*, 2007, 9852/03, § 116.

<sup>7</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება *გოგინაშვილი საქართველოს წინააღმდეგ*, 2011, 47729/08, § 71.

<sup>8</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება *Holomiov v. Moldova*, 2006, 30649/05, § 117.

ჯანმრთელობა გაუარესდა, არ არის საკმარისი უფლების დარღვევის დასადასტურებლად. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების დარღვევას გამოიწვევს ისეთი შემთხვევების არსებობა, როდესაც რელიგიანტურმა შიდაეროვნულმა უწყებებმა დროულად და ამომწურავად არ გადადგეს ყველა გონივრული შესაძლო ნაბიჯი და არ გამოიყენეს ყველა კეთილსინდისიერი სამედიცინო გზა პაციენტის განსაკურნად.<sup>9</sup>

ეროვნული კანონმდებლობა ასევე ეფუძნება ეკვივალენტურობის პრინციპს, რაც გამოიხატება იმაში, რომ სამედიცინო პერსონალი უნდა უზრუნველყოფდეს მკურნალობის, მოვლის და რეაბილიტაციის იმავე სტანდარტს, რომელიც ხელმისაწვდომია სამოქალაქო ჯანდაცვის სექტორში. ამასთან პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების აღნიშნული სტანდარტები ამოცანად ისახავს პატიმართა ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირებას.<sup>10</sup>

„სამედიცინო ჩარევების კლასიფიკაციისა და ამბულატორიული სერვისის მიმწოდებლების მინიმალური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ“, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, 2013 წლის 19 ივნისის, ბრძანება №01-25/ნ თანახმად, სასწრაფო დაყოვნებული სამედიცინო ინტერვენცია უნდა დაიგეგმოს რამდენიმე დღეში, რაც გულისხმობს რეკომენდებული სამედიცინო მომსახურების გაწევას 2-დან 5 დღემდე ვადაში.<sup>11</sup>

ასევე, „სამოქალაქო სექტორის სავადმყოფოში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის №55 ბრძანების თანახმად, სასწრაფო-დაყოვნებული სამედიცინო ინტერვენცია დასაგეგმია 2-5 დღეში.<sup>12</sup>

„პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის თანახმად, თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების ყველა გამწვევისაგან მიიღოს ქვეყანაში აღიარებული და დანერგილი პროფესიული და სამომსახურეო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება. ამასთან, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირი სარგებლობს ამ კანონით გათვალისწინებული ყველა უფლებით.<sup>13</sup>

<sup>9</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება გოგინაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, 2011, 47729/08, § 71.

<sup>10</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 18 თებერვლის N381 ბრძანება „პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების სტანდარტების, სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების დამატებითი სტანდარტების, პენიტენციურ დაწესებულებაში პრევენციული მომსახურების პაკეტისა და პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის ბაზისური მედიკამენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“, დანართი N1, მუხ. 19, ქვეპუნქტ. „ა“ და „თ“

<sup>11</sup> „სამედიცინო ჩარევების კლასიფიკაციისა და ამბულატორიული სერვისის მიმწოდებლების მინიმალური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ“, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, 2013 წლის 19 ივნისის, ბრძანება №01-25/ნ, დანართი №2, პუნქტი მე-3.

<sup>12</sup> საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის 2014 წლის №55 ბრძანების მე-2<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტი.

<sup>13</sup> „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 46.

## დასკვნა

ამრიგად, მიუხედავად ამ დრომდე გაწეული სამედიცინო მომსახურებისა, მსჯავრდებულს აწუხებს მხედველობის გაორება და მისი გაუარესება, ასევე უჩივის თვალებისა და თავის ტკივილს. დაავადების მოსალოდნელი პროგრესირების და გართულების მაღალი რისკის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მსჯავრდებულ [REDACTED] დროულად ჩაუტარდეს რეკომენდებული სამედიცინო მომსახურება - რეფრაქციულ ქირურგიულ კონსულტაცია, რა მიზნითაც იგი დარეგისტრირებულია სამედიცინო დეპარტამენტის რეფერალის ელექტრონულ ბაზაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ რეკომენდაციით, [REDACTED] რეკომენდებული სამედიცინო მომსახურება ჩაუტარდეს შემჭიდროვებულ ვადებში - სასწრაფო დაყოვნებადი წესით.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული რეკომენდაციის განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი

